პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 3
(4253)

1971 წ.
6 იანვარი, ოთხშაბათი,
ფასი 8 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ფოტო თვალით

კალათბურთი

როგორც ვიუწყებოდით, თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალის პირველ შეხვედრაში ლენინგრადის „სპარტაკმა" ანგარიშით 93:54 (41:30) დაამარცხა ბუქარესტის „სტიაუა".

სურათზე: შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

● ●

ციგურები

ახალი წლის პირველი საკავშირო რეკორდი დაამყარა სვერდლოვსკელმა მოციგურავემ ლ. სავრულინამ. სსრ კავშირის უძლიერეს მოციგურავეთა შეჯიბრებაში, რომელიც ალმაათაში გაიმართა, მან დაამყარა ახალი მიღწევა გოგონებისთვის 1500 მეტრზე — 2 წუთი, 26,5 წამი.

● ●

ტრამპლინიდან ხტომა

როგორც ცნობილია, მფრინავ მოთხილამურეთა ტრადიციული საერთაშორისო ასპარეზობის „ოთხი ტრამპლინის ტურნეს" მესამე ეტაპმა წარმატება მოუტანა ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებს. ინსბრუკის ტრამპლინზე პირველი იყო ზ. ხუბაჩი. ოლიმპიური ჩემპიონი ი. რაშკა II ადგილზე გავიდა.

სურათზე: ზ. ხუბაჩი ასპარეზობის დროს.



„მოისარი"

რამდენიმე წლის წინათ გაყვანილი ულამაზესი მიწისქვეშა მაგისტრალი საოცრად მოუხდა საქართველოს დედაქალაქს. დღეს მიწის ქვეშაც ისევე ცოცხლად შევიგრძნობთ დიდი ქალაქის მაჯისცემას, როგორც თბილისის მშვენიერ ქუჩებსა და პროსპექტებზე.

ჩვენს მოუსვენარ საუკუნეში კონტრასტები საოცრად ალამაზებს ადამიანის ყოფას...

წერილის დასაწყისში მეტროპოლიტენი შემთხვევით არ გვიხსენებია. ამ ცოტა ხნის წინ მეტროპოლიტენის სადგურ „დიდუბეში" გადმოსულმა მგზავრებმა პატარა პარკში უჩვეულო ქანდაკება შენიშნეს. მოისარი! იგი თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან გვესტუმრა, თავისი ვაჟკაცური შემართებითა და სიჩაუქით ნოგვხიბლა, მოგვაგონა დრო, რომელსაც სიამაყისა და მოწიწების გრძნობით ვიხსენებთ. ეს მოისარი მამაცურად, მკლავმოუღლელად იბრძოდა სამშობლოსთვის, სიცოცხლეც არ ენანებოდა მომხვდურ მტრებთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში. სხვა დროს იგი ნადირობდა, ასპარეზობდა, თანატოლებთან ჭიდილში მკლავის ძალასა და თვალის სიზუსტეს ცდიდა...

მშვილდოსანმა ეს-ესაა ძალუმად მოზიდა მშვილდი, მარჯვედ ნატყორცნი ისარი მიზანს არ ასცდება. ამაზე მიგვანიშნებს მშვილდოსნის გამოზომილი ზედმიწევნით ზუსტი და პლასტიკური მოძრაობა, კუნთების სილაღე, დაძარღვული მკლავები. მოისარი მთლიანად მიზანსწრაფვად ქცეულა... არა, ასეთი ვაჟკაცის ნატყორცნი ისარი მიზანს არ ასცდება.

მოისარი... რა არ გამოიგონა ადამიანმა იმ უძველესი ეპოქის შემდეგ: თოფიარაღი, ზარბაზანი, ატომისა და წყალბადის ბომბი... და მაინც, იგი ვერ ელევა თავის შორეულ წარსულს, ზოგჯერ კაცობრიობის „ბავშვობას" რომ ეძახიან.

დღეს ჩვენი შორეული წინაპრების განუყრელი იარაღი, რა თქმა უნდა, აღარ ასრულებს პირვანდელ დანიშნულებას — თანამედროვე მშვილდოსნები ხასხასა ბალახით მოფენილ მოედნებზე, სპორტულ სარბიელზე ცდიან თავიანთ ძალასა და უნარს, სიჩაუქესა და თვალის სიზუსტეს...

წარსული მოგვაგონა ამ ქანდაკებამ, რომელიც ამავე დროს უაღრესად თანამედროვე და დღევანდელია, რომლის შექმნისთვისაც მონდომება და შემოქმედის ფანტაზია არ დაუკლიათ მოქანდაკე გურამ ქაჯაიას და მხატვრული ჩამოსხმის ოსტატს ანზორ ლელაშვილს.

ნიჭიერი ხელოვანის გურამ ქაჯაიას ნახელავს უახლოეს დროში პროფესიულად შეაფასებენ ამ დარგის კომპეტენტური წარმომადგენლები. ჩვენი აზრით კი „მოისარი" უდავოდ ახარებს მნახველის თვალს. „მწყემსბიჭი", „მოისარი"... სპორტულ თემაზე შექმნილმა ამ ორმა ქანდაკებამ დედაქალაქის არქიტექტურული ანსამბლი გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა.

ა. ბოგელია.

* * *

სურათზე: „მოისარი".



ა. სააკოვის ფოტო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

კაუნასი. „ჟალგირისის" და მოსკოვის არმიელთა ორთაბრძოლა ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო. მასპინძლებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრა და სსრ კავშირის ჩემპიონს მიმდინარე სეზონში მესამე მარცხი აგემეს — 78:85. დამარცხებულთა შორის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო ანდრეევი (35 ქულა), გამარჯვებულთა შორის კი პაულაუსკასი (30 ქულა).

რიგა. თბილისის დინამოელებმა დაამარცხეს ადგილობრივი არმიელები (69:66) და სატურნირო ცხრილში მე-5 ქულა ჩაიწერეს.

მოსკოვი. ადგილობრივი „დინამოსა" და თბილისის „ბურევესტნიკის" ორთაბრძოლა მასპინძლებმა მოიგეს — 75:61.

კიევი. „სტროიტელმა" ჩემპიონატის I წრე 6 ქულით დაამთავრა. ბოლო ტურში მან დაამარცხა რიგის ვეფ-ი 88:75.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 6 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	11	10	1	745 — 641	10
ცსკა	11	8	3	937 — 770	8
„დინამო" (მოსკოვი)	11	7	4	848 — 793	7
„ჟალგირისი" (კაუნასი)	10	6	4	790 — 770	6
„სტროიტელი" (კიევი)	11	6	5	769 — 755	6
„დინამო" (თბილისი)	9	5	4	691 — 701	5
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	10	5	5	731 — 768	5
„კალევი" (ტარტუ)	10	4	6	784 — 757	4
ასკ (კიევი)	10	3	7	672 — 716	3
ვეფ (რიგა)	10	3	7	769 — 826	3
რტი (მინსკი)	11	3	8	714 — 782	3
ასკ (რიგა)	10	2	8	675 — 736	2

თბილისის „დინამო" — გაზრობათა თასის გათამაშების მონაწილე

როგორც ცნობილია, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში სსრ კავშირიდან გამოვა ცსკა, თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში — მოსკოვის „დინამო". ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, რომ კიდევ ერთ ევროპულ ტურნირში — გაზრობათა თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო".

ფინალი — ფიზკულტურელის დღეს

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის XXX გათამაშებაში გამოვა უმაღლესი ლიგისა და პირველი ჯგუფის ყველა 38 გუნდი. პირველ სამ ეტაპზე ისინი ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს — საკუთარ და მეტოქის მინდორზე. მხოლოდ მეოთხედფინალიდან ითამაშებენ ერთმანეთთან ერთხელ. სასტარტო მატჩები ჩატარდება 6 და 10 მარტს. მეთექვსმეტედფინალიდან ბრძოლაში ჩაებმებიან ჩვენი რესპუბლიკის გუნდები. თბილისის „დინამოს" მეტოქე იქნება კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი", ქუთაისის „ტორპედოსი" — ცსკა. მატჩები გაიმართება 16 და 20 მარტს. მერვედფინალური შეხვედრები დანიშნულია 27 და 31 მარტს, მეოთხედფინალური — 1 ივლისს, ნახევარფინალური — 24 ივლისს. ფინალური მატჩი ჩატარდება ფიზკულტურელის საკავშირო დღეს — 7 აგვისტოს.

სეზონის სტარტზე

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ტერსკოლში გაიმართა სსრ კავშირის უძლიერეს სამთომოთხილამურეთა ასპარეზობა.

გიგანტურ სლალომში (შეჯიბრება ორ ეტაპად ჩატარდა) კარგად გამოვიდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ი. ნასყიდაშვილი, რომელმაც ორივე ცდაზე მხოლოდ ალმაათელ მ. მუსაინოვთან („ბურევესტნიკი") წააგო და ამ სახეობის საერთო ჯამშიც II საპრიზო ადგილი დაიკავა. ნასყიდაშვილმა უკან ჩამოიტოვა სამთოსათხილამურო სპორტის ისეთი ოსტატები, როგორიც არიან ი. მელნიკოვი, ა. ტორმოსინი, ვ. ლებედევი, ა. გრიშჩენკო და სხვები.

ეს ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენის საახალწლო საჩუქარი იყო ჩვენი რესპუბლიკის გულშემატკივრებისთვის.

* * *

სურათზე: ი. ნასყიდაშვილი შეჯიბრებისას.

გ. სამსონაძის ტექსტი და ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

V სპარტაკიადა
1971

ემზადებიან

გორელები მონდომებით ემზადებიან რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადისთვის. ამას წინათ გაიმართა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ როგორც ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები, ასევე საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

სიტყვებით გამოვიდნენ გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ე. ბუთხუზი, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი, განათლების განყოფილების გამგე ვ. ზექალაშვილი, დოსააფის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე კ. კორაევი, პედინსტიტუტის რექტორი გ. ხარაული და სხვ.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა ამ კომიტეტის თავმჯდომარემ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ონიაშვილმა.

საიუბილეო სპარტაკიადისთვის უკეთ მომზადების მიზნით საორგანიზაციო კომიტეტის სხდომამ დასახა საქმიანი და კონკრეტული ღონისძიებანი.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

მორბენალთა წრე პოლარული წრის მიღმა

რბენის დახმარებით ჯანმრთელობის განმტკიცების მიზნით ნორილსკში ახალგაზრდა ექიმებმა შექმნეს მორბენალთა" კლუბი, სადაც სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ ორგანიზებულად მეცადინეობენ. ასეთნაირი „საბრძოლო ყაიმით" დამთავრდა ექიმებისა და სპორტსმენების დისკუსია, რომელიც ადგილობრივმა გაზეთებმა, რადიომ და ტელევიზიამ ჩაატარეს.

ექიმების აზრით, უკიდურეს ჩრდილოეთში რბენის დროს სიფრთხილეა საჭირო. აქ გაიშვიათებული ჰაერია, ატმოსფერული წნევა ხშირად იცვლება, ძლიერი ქარები იცის, ხოლო ზაფხულისა და ზამთრის ტემპერატურათა სხვაობა 95 გრადუსს აღწევს.

მაგრამ სპორტსმენები იხსენებდნენ მოკლე დისტანციებზე მორბენლის ა. ხოდიკინას მაგალითს, რომელმაც სპორტის ოსტატის წოდება ნორილსკში მოიპოვა. წვრთნა მან „ზაპოლიარნიკის" სტადიონზე დაიწყო 13 წლის ასაკში, მას შემდეგ, რაც ავადმყოფობის გამო სკოლაში ფიზკულტურული მეცადინეობისგან გაანთავისუფლეს.

ათი წელია რბენას მისდევს ნორილსკელი დურგალი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. ფატეევი. ყოველდღიურად, ყინვასა და ქარშიც კი, სირბილით ფარავს 22-კილომეტრიან გზას ნორილსკიდან კაიერკანამდე, სადაც მუშაობს ზეინკალი ვ. კორშუნოვი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი მძლეოსნობაში.

მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ მოხდა ყველაზე საკვირველი შემთხვევა, რომელთანაც სპორტსმენებს არავითარი კავშირი არა აქვთ. ნორილსკის სატელევიზიო სტუდიის პავილიონში შეიკრიბნენ დისკუსიის მონაწილენი, რომლებიც რბენაზე მსჯელობდნენ. რეჟისორის ასისტენტმა ერთ ქალს მიაქცია ყურადღება, კამერასთან უფრო ახლოს დასვა იგი და თან შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ქალიშვილო, ასე უფრო მოხერხებულად დაჯდებით".

ასისტენტის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგო, რომ ეს „ქალიშვილი" 46 წლისაა და ცოტა ხნის წინ ბებია გახდა. მხატვარმა ლ. სტრელნიკოვამ ახალგაზრდობა რბენის მეოხებით შეინარჩუნა. იგი სპორტსმენი არ არის, მაგრამ დღეში 5-6 კილომეტრს დარბის. სწორედ ის აირჩიეს ნორილსკელებმა თავიანთი კლუბის პირველ წევრად.

ჯერჯერობით კლუბში მხოლოდ უნაკლოდ ჯანმრთელ ხალხს ღებულობენ. მომავალში, თუ სამედიცინო დაკვირვების საშუალებით დადგინდა, რომ უკიდურეს ჩრდილოეთში რბენა შეიძლება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განკურნების საშუალებად იქცეს, კლუბი კიდევ უფრო გაფართოვდება.

ვ. შინკარენკო.
(საქდესის კორ.).

ნორილსკი.

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

• •

ერთი საზოგადოების კოლექტივები

ესტონეთის ყველა სკოლაში შექმნილია საზოგადოება „ნორუსის" („სიჭაბუკე") კოლექტივები, რომლებიც ახლა 90.000 ბავშვს აერთიანებენ. მათგან ნახევარს თანრიგოსნები შეადგენენ.

საქდესის კორესპონდენტი ესტუმრა პატარა დაბის რაპლის საშუალო სკოლას, რომელსაც აქვს ორი ტანვარჯიშული დარბაზი, თანამედროვე სტადიონი მძლეოსნური სექტორებით, სპორტული თამაშების მოედნები, სათხილამურო ბაზა. სკოლაში მთელი წლის მანძილზე ტარდება სპარტაკიადა კლასებს შორის. ყველა მოსწავლემ იცის ცურვა.

მაგრამ ეს სკოლა მარტო მასობრიობით როდია ცნობილი. მას ჰყავს თავისი ვარსკვლავებიც. XI კლასის მოსწავლეა სსრ კავშირის იუნიორ კალათბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი მ. ტიქსი. შარშან მან ევროპის პირველობიდან ოქროს მედალი ჩამოიტანა. გაისად ტიქსი ტარტუს უნივერსიტეტში აპირებს სწავლის გაგრძელებას სპორტული მედიცინის განყოფილებაზე.

მოზარდი თაობის ჯანმრთელობაზე ესტონეთის სოფლებში დიდად ზრუნავენ. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თავიანთი ბიუჯეტიდან გამოყოფენ თანხებს სპორტბაზების მშენებლობისთვის. მაგალითად, ტარტუს რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ რანუსის სკოლის მოსწავლეებისთვის შესანიშნავი სპორტული კომპლექსი ააგო.

• •

სპორტული პერვოურალსკი

ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარე ქალაქი პერვოურალსკი მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოშია ცნობილი. აქედან ფოლადის მილები 36 სხვადასხვა ქვეყანაში იგზავნება.

მაგრამ ეს ქალაქი მარტო თავისი საწარმოების პროდუქციით როდია ცნობილი. აქ წარმატებითაა გადაწყვეტილი მშრომელთა დასვენების პრობლემა. პერვოურალსკელებისთვის აქტიური დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სპორტია. ამაში დარწმუნდებით, როცა პერვოურალსკის მილების ქარხნის ახალ სპორტის სასახლეს ეწვევით. ეს ბაზა ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ნაგებობაა სსრ კავშირში. აქ ყველა პირობაა შექმნილი ქარხნის სპორტსმენთა რეგულარული წვრთნისა და შეჯიბრებების ჩატარებისთვის.

ქარხნის დირექცია ყოველწლიურად 400 ათას მანეთს გამოჰყოფს კულტურული და სპორტული ღონისძიებებისთვის. ამ ფულით იძენენ აუცილებელ სპორტულ ინვენტარს, ხელფასს უხდიან მწვრთნელებს და სპორტული ბაზების მომსახურე პერსონალს.

სურათებზე: ახალი სპორტის სასახლის საერთო ხედი; ნორჩ აკრობატთა მეცადინეობა საზოგადოებრივი მწვრთნელების ხელმძღვანელობით სპორტის სასახლეში; ნორჩი ფიგურისტები რ. აფანასიევა და ტ. ჟუკოვი განუყრელი მეგობრები არიან; ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჰოკეი ბურთით. ადგილობრივი გუნდი „ურალსკი ტრუბნიკი" სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდის. 1970 წელს მან VI ადგილი დაიკავა ქვეყნის პირველობაში. ახალ სეზონში ჰოკეისტებს კიდევ უფრო დიდი წარმატების იმედი აქვთ. სურათზე თქვენ ხედავთ მეკარესთან სპეციალურ მეცადინეობის მომენტს.

ი. დოლიაგინის ფოტო.



მთავარია მასობრიობა

•

რეპორტაჟი საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციიდან

•

სულ რაღაც ოციოდე წუთის წინ ჩოხატაურში ვიყავით, ამ მთაგორიანი რაიონის კალთები თოვლით იყო გადაპენტილი და დილის სუსხი ავტომანქანაში ატანდა. აი, მახარაძეც — ჩვენი მგზავრობის საბოლოო მიზანი. ფეხბურთის სტადიონი „მეგობრობა". დილასთან ერთად სტადიონის მძლეოსნურ სექტორებსაც გამოუღვიძიათ. ჭაბუკები და ქალიშვილები უკვე შესდგომიან ვარჯიშს. ერთნი სარბენ ბილიკებზე მეცადინეობენ, მეორენი სახტომ სექტორებზე ფუსფუსებენ.

ერთი კია, სარბიელზე თითქმის მხოლოდ სასკოლო ასაკის ბიჭებსა და გოგონებს ვხედავთ. ეს ალბათ ბუნებრივიცაა. მახარაძეში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ არის და მოზრდილი ასაკის მძლეოსნებიც აქ ამიტომ იშვიათად თუ გამოჩნდებიან. სამაგიეროდ, ამ ბოლო ხანს მახარაძეში ბევრი ნიჭიერი მოზარდი მძლეოსანი გამოვლინდა, რომლებიც ახლა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და იმაღლებენ ოსტატობას.

თუმცა, მახარაძელ მწვრთნელებსა და სპორტის მესვეურებს ეს წარმატებები როდი აკმაყოფილებთ. მათს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ამის შესახებ გულახდილად ილაპარაკეს ახლახან გამართულ „კოლმეურნის" რაისაბჭოს კონფერენციაზე.

კონფერენციაზე გამართული მსჯელობის მეორე დიდი თემა ფეხბურთი გახლდათ. საქმე ისაა, რომ მახარაძის „მერცხალი" წლეულს სსრ კავშირის II ლიგის IV ზონაში ითამაშებს. ეს დიდი პატივია რაიონის გუნდისთვის. ფეხბურთის პოპულარობას მარტო ის როდი ამტკიცებს, რომ რაიონის ყოველ სოფელში გუნდია შექმნილი. უნდა აღინიშნოს, რომ 1970 წლის სეზონში „მერცხალის" კოლექტივის შენახვისთვის დახარჯულ თანხებს ამ გუნდის მატჩების შემოსავალმა თითქმის ორი მესამედით გადააჭარბა. ეს ფინანსური მაჩვენებელი თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ ახალ საფეხბურთო სეზონში „მერცხალს" უკვე საკავშირო სარბიელი ელის, რაც მას მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. ამის შესახებ ილაპარაკეს კონფერენციაზე, პარტიის რაიკომში და სამერმისო გეგმების ერთგვარი კონტურებიც მოიხაზა.

კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ კ. გოგატაძემ. იგი შეეხო როგორც ზემოთ აღნიშნულ საკითხებს, ისე ბევრ სხვა პრობლემას, რომლებიც „კოლმეურნის" რაისაბჭოს ჰქონდა გადასაწყვეტი საანგარიშო პერიოდში და რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

მომხსენებელმა თავისი სიტყვის დიდი ნაწილი საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისთვის და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადებას დაუთმო.

შეკრებილთა წინაშე სარევიზიო კომისიის ანგარიშით წარსდგა კ. ინწკირველი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ბ. სიამაშვილმა (ნასაკირალის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი), მ. გოგუაძემ (რაიონის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი), ო. ხომერიკმა (ბოხვაურის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე), ვ. შავიშვილმა (რაიონის ძალოსანთა ნაკრების მწვრთნელი), მ. ბოლქვაძემ (ზვანის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე), ვ. ბლიაძემ (მწვრთნელი მძლეოსნობაში), გ. გვარჯალაძემ (ლაითურის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე). მათ ყურადღება გაამახვილეს რაიონში ჭიდაობის, ძალოსნობის, მძლეოსნობის, ლელოს განვითარებაზე. აღინიშნა, რომ შარშან რაიონის ნაკრებმა კლასიკურ ჭიდაობაში დიდ წარმატებებს მიაღწია. მახარაძელმა „კლასიკოსებმა" „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში პირველობა არავის დაუთმეს. კონფერენციაზე ილაპარაკეს კომპლექსური ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების საკითხებზე, სოფლად ახალი ბაზების მშენებლობისა და არსებულის კეთილმოწყობის თაობაზე, ითქვა, რომ რაიონში სუსტადაა განვითარებული კალათბურთი და ტანვარჯიში.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი ნ. მდინარაძე, რომელმაც რაიონის სოფლის ფიზკულტურელებს მოუწოდა უფრო მასობრივად ჩაებან სექციების მუშაობაში, რადგან მხოლოდ მასობრიობით შეიძლება სპორტში ახალი ზღუდეების დაპყრობა. მან თქვა, რომ ფიზკულტურასა და სპორტში არ შეიძლება გამოვყოთ დიდი და პატარა საქმე: მძლეოსნობისა და ფეხბურთის, ჭიდაობისა და ლელოს განვითარებისთვის ზრუნვა ერთნაირად საპასუხისმგებლოა. ნ. მდინარაძემ აღნიშნა, რომ რაიონში თითქმის არაფერი კეთდება ველოსპორტის დანერგვისთვის, თუმცა საამისო საშუალებები არსებობს.

საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციამ მიიღო დადგენილება. პლენუმის ახლად არჩეულმა შემადგენლობამ „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩია კ. გოგატაძე, მოადგილედ — გ. ლომაძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ვ. ბარამიძე.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მახარაძე.

სოფლის სპორტსმენთა შორის პირველნი

1970 წელს „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ ჩაატარა დიდი კომპლექსური ღონისძიება — საქართველოს სოფლის სპორტსმენთა თამაშები. ამ დიდ შეჯიბრებაში მახარაძის რაიონის წარმომადგენლებმა რაიონების ნაკრებ კოლექტივებს შორის I ადგილი დაიკავეს (შეჯიბრებები გაიმართა 12 სახეობაში). მახარაძელთა შედეგები ასეთია:

კლასიკური ჭიდაობა — I ადგილი (მწვრთნელი მ. გოგუაძე).
ჭადრაკი — I ადგილი (მწვრთნელი რ. ჭყონია).
ხელბურთი (ვაჟები) — II ადგილი (მწვრთნელი ს. ქარჩილაძე).
ძალოსნობა — III ადგილი (მწვრთნელი ვ. შავიშვილი).
თავისუფალი ჭიდაობა — IV ადგილი (მწვრთნელი მ. გოგუაძე).
მძლეოსნობა — IV ადგილი (მწვრთნელი ვ. ბლიაძე).
შაში — IV ადგილი (მწვრთნელი ს. მოძღვრიშვილი).
ფრენბურთი (ვაჟები) — II ადგილი ზონაში (მწვრთნელი გ. ლომაძე).
ფრენბურთი (ქალები) — III ადგილი ზონაში (მწვრთნელი გ. გვარჯალაძე).
ქართული ჭიდაობა — III ადგილი ზონაში (მწვრთნელი მ. ხაბალაშვილი).
ცხენოსნობა — VI ადგილი.
ველოსპორტი — XI ადგილი.

გეგმები და შესრულება

„კოლმეურნის" მახარაძის რაისაბჭოს ფიზკულტურულმა კოლექტივებმა 1970 წლის საანგარიშო პერიოდში გადაჭარბებით შეასრულეს თანრიგოსანთა მომზადების გეგმები. მოგვყავს ციფრები:

	გეგმა	შესრულება
სპორტის ოსტატი	1	2
I თანრიგი	11	42
II თანრიგი	114	292
III და მოზარდთა თანრიგები	450	1300

ამ გეგმების შესრულებაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ნატანების, ლაითურის, შრომის, ნაგომრის, შემოქმედის, სილაურის, ლაშეს, ზვანის, ექადიის, ნასაკირალის, ვაკიჯვრისა და კონჭკათის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

არიან ჩამორჩენილებიც: მზიანის, მშვიდობაურის, ფამფალეთის, წითელი მთის ფიზკულტურულ კოლექტივებს საანგარიშო პერიოდში არც ერთი თანრიგოსანი არ მოუმზადებიათ.

დიაჩკოვი — სწავლული და მწვრთნელი

ვლადიმერ დიაჩკოვს სარეკორდო ნახტომებისთვის მარტო ვალერი ბრუმელი რომ მოემზადებინა, მისი სახელი მაინც დიდი ასოებით იქნებოდა შეტანილი მძლეოსნების გამოჩენილ მწვრთნელთა სიაში.

მაგრამ დიაჩკოვი მარტო ბრუმელთან როდი მუშაობდა, სხვა მოწაფეებიც ჰყავდა. მისი სხვა აღზრდილებიც უტევდნენ ჩემპიონურ სიმაღლეებს. მაგალითად, დიაჩკოვის მოწაფეები არიან სსრ კავშირის რეკორდსმენი ა. ოკოროკოვა და ქვეყნის პირველობაში გამარჯვებული ს. ბუდალოვი.

როცა ვ. დიაჩკოვის დამსახურებაზე ვლაპარაკობთ, პირველყოვლისა უნდა აღვნიშნოთ მისი მონაწილეობა საბჭოთა მძლეოსნური, კერძოდ, სიმაღლეზე და ჭოკით ხტომის სკოლის ჩამოყალიბებაში.

ვ. დიაჩკოვი საბჭოთა მძლეოსნობაში ერთ-ერთი პირველი მწვრთნელია, კაცმა რომ თქვას, მანამდე არც გვყავდა ეს სპეციალისტები. დიაჩკოვმა სპორტული გზის დასაწყისშივე შეიძინა პედაგოგიური თვისებებიც, თუმცა ჯერ თვითონაც საჭიროებდა ელემენტარულ რჩევა-დარიგებებს. ერთი სიტყვით, მისთვის სპორტსმენის კარიერა მწვრთნელის კარიერას დაემთხვა.

დიაჩკოვი 40 წლისა იყო, როცა ასპარეზი დატოვა. დატოვა დაუმარცხებლად, ჭოკით ხტომაში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელით.

ერთი წლის შემდეგ იგი უკვე ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა. პროფესორი დიაჩკოვი დღესაც ამ ინსტიტუტის ერთ-ერთ კათედრას განაგებს. საერთო აზრით, ამ ადამიანში ბედნიერად ერწყმის ერთმანეთს პედაგოგის ტალანტი და პრაქტიკოსი მწვრთნელის ენერგია. მაგრამ თვითონ დიაჩკოვს მიაჩნია, რომ მისი მოწოდება მწვრთნელად მუშაობაა.

— მეცნიერება?

— მეცნიერება განუყოფელია თანამედროვე მწვრთნელის შრომისგან.

თვით დიაჩკოვის ახლობლებიდან და მოწაფეებიდანაც კი ბევრმა როდი იცის, რომ იყო მომენტი, როცა დამსახურებული მწვრთნელი არჩევანის წინაშე იდგა: სპორტი თუ არქიტექტურა?

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მან წარმატებით ჩააბარა გამოცდა არქიტექტურის ინსტიტუტში. ყველაზე საპასუხისმგებლო სპორტული შეჯიბრებების დროს დიაჩკოვმა წარჩინებით დაიცვა არქიტექტორის დიპლომი. მიუხედავად ამისა, მან სპორტი აირჩია და მწვრთნელად გააგრძელა მუშაობა.

168 სანტიმეტრი — დღეს ეს შეიძლება სასაცილო შედეგი იყოს სერიოზული მხტომელისთვის, მაგრამ მაშინ, 40 წელზე მეტი ხნის წინ, ამ შედეგმა დიაჩკოვს სსრ კავშირის საუკეთესო მხტომელებს შორის გამარჯვება მოუტანა. ამას გარდა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს კაცი მხტომელთა სამამულო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ დიაჩკოვის აღსაზრდელმა ვ. ბრუმელმა გადალახა 228 სანტიმეტრი.

ვ. დიაჩკოვის სახელს უკავშირებენ 2-მეტრიანი ზღუდის გადალახვას, რაც ბევრ რამეში ერთგვარი ფსიქოლოგიური ზღუდე გახლდათ. მათ შორის, ვინც პირველად გადალახა ეს სიმაღლე, დიაჩკოვის მოწაფეები სიტკინი და კაშკაროვიც იყვნენ.

დიაჩკოვმა ვ. ბრუმელი პირველად 1959 წელს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ნახა. მაშინ ბრუმელს თავი არაფრით გამოუჩენია — გამარჯვებულ კაშკაროვთან 15 სმ წააგო. მაგრამ დიაჩკოვმა კარგად დაინახა 17 წლის მხტომელის ფიზიკური მონაცემები, თუმცა ტექნიკაში მთელი რიგი ხარვეზებიც შენიშნა. მიუხედავად ამისა, მისი წინადადებით ბრუმელი ქვეყნის ნაკრებში შეიყვანეს კაშკაროვის ნაცვლად, როგორც უფრო პერსპექტიული სპორტსმენი.

რომის ოლიმპიადის წინ დიაჩკოვმა ზუსტად იწინასწარმეტყველა შავლაყაძის, ბრუმელისა და ბოლშოვის წარმატება და შედეგი. საერთოდ, ინტუიცია იშვიათად ღალატობდა დიაჩკოვს.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს ოპონენტმა მას მოულოდნელად ჰკითხა: „როგორ გადახტება დღეს ბრუმელი?“ იმ დღეს ბრუმელი მინსკში გამოდიოდა, დისერტაციის დაცვა კი მოსკოვში მოეწყო. დიაჩკოვმა მყისვე მიუგო „224 სანტიმეტრს აიღებს. მსოფლიო რეკორდზე იერიშს მიიტანს, მაგრამ უშედეგოდ“. ასეც მოხდა.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მატჩის წინ, სადაც ბრუმელმა ფანტასტიკური რეკორდი დაამყარა, დიაჩკოვი დაბეჯითებით მოითხოვდა: სპორტსმენი დაასვენეთ, ყველა შეჯიბრებისგან გაათავისუფლეთო. მაშინ მე პირობას ვიძლევი, რომ მსოფლიო რეკორდი უსათუოდ დამყარდებაო.

„მე ყოველთვის ვიცოდი, რომ იგი (ბრუმელი) მზად იყო მსოფლიო რეკორდისთვის“. — ამბობს დიაჩკოვი. მწვრთნელის ასეთი რწმენისთვის ბრუმელს საწვრთნელ მეცადინეობებზე სარეკორდო სიმაღლეების დაძლევა არ სჭირდებოდა. 222 ან 223 სმ უკვე მზადყოფნის ნიშნად ითვლებოდა.

მწვრთნელს ბრუმელისა სწამდა. „ბრუმელი ყველაზე მეტად იყო მზად სარეკორდო მიღწევებისთვის. მე ვიცნობ სპორტსმენებს, რომლებიც მონაცემებით ბრუმელს არ ჩამოუვარდებიან. ბუდალოვი — ჩემი ახლანდელი მოწაფე უფრო მაღალია, 100 მეტრზე უფრო სწრაფად დარბის, მაგრამ მის ხასიათში გასულ სეზონამდე ეჭვი მეპარებოდა. ბრუმელი ზედმიწევნით ცნობისმოყვარე იყო. იგი ყველაფერს ასრულებდა, რასაც დავავალებდი და მერე აუცილებლად გკითხავდა: „რატომ?“. ვალერი შეგნებულად მიიწევდა გამარჯვებისკენ, ასეთ სპორტსმენთან მუშაობა მთელი სიამოვნებაა“.

მწვრთნელი სიამოვნებით გვიჩვენებს ბრუმელის საერთო და სპეციალური მზადების დატვირთვის გრაფიკს. დიაჩკოვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კანონზომიერებას: „რეკორდი უეჭველად უნდა დაცემულიყო“.

ვ. დიაჩკოვი დესპოტი და დიქტატორი მწვრთნელების რიცხვს არ მიეკუთვნება, მაგრამ ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ პროფესორი რბილი ხასიათის, ცოტა უცნაური კაცია და ყოვლის მიტევება იცის. დისციპლინის თვალსაზრისით დიაჩკოვი ნამდვილი პედანტია. მას ღრმად სწამს: ვისაც დიდი გამარჯვება სურს, წვრილმან ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე და ფუსფუსზე ხელი უნდა აიღოს.

ამბობენ, დიაჩკოვს შეუძლია ყველაზე საჭირო მომენტში ყველაზე საჭირო სიტყვა თქვასო. „ვცდილობ, — იცინის მწვრთნელი, — ყველაზე მეტად იმის მეშინია, რომ არავის მოვაბეზრო თავი ჩემი რჩევა-დარიგებებით, თუნდაც ეს დარიგებები სწორი იყოს. ისე უნდა შეუწყო კაცს ხელი, რომ არ დაირღვეს მთლიანი სისტემა. ნახტომის საბოლოო სახე ხომ გონებაში იკვეთება, და საშიშია სპორტსმენს ზედმეტი ჩარევით ხელი არ შეუშალო. ხანდახან სწორი ინფორმაცია მთელ ბრძნულ ლექციას სჯობს. ზოგჯერ რაღაც წვრილმანს იტყვი, მაგრამ ზუსტად ის აღმოჩნდება ყველაზე საჭირო. ამერიკელებთან მატჩის დროს მოსკოვში თომასი კარგ ფორმაში იყო, პირველივე ცდაზე 219 სანტიმეტრი აიღო. ბრუმელი მოვიდა, წვიმაში აბუზულიყო, ნეტავ არ წავაგებდეო, მითხრა, მე, ვითომც არაფერი, ისე მივუგე: ხომ არ გაგიჟდი-მეთქი?“

ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დიაჩკოვი სათავეში უდგას ლაბორატორიას, რომელიც უმაღლესი თანრიგის სპორტსმენთა ტექნიკური ოსტატობის სრულყოფის პრობლემებს ამუშავებს.

„სპორტული გმირობა, რეკორდის დამყარება მილიონების თვალწინ ხდება. ერთმანეთს ეჯიბრებიან არა ფორმულები, არამედ ხასიათები. ეს ხასიათები უნდა აღმოაჩინო, აღზარდო, შეამოწმო წვრთნისადმი მათი შემგუებლობის უნარი, — გვიამბობს თავის მუშაობაზე პროფესორი. — ჩვენ ვაყალიბებთ არა მარტო მოძრაობის გეგმებს, არამედ აზროვნების პროცესებსაც. ახლა მოდაში შემოვიდა ყოველ შესაფერ შემთხვევაში კიბერნეტიკის მოშველიება. ზოგჯერ კიბერნეტიკა მათემატიზაციით იცვლება. მაგრამ კიბერნეტიკა ესაა მიზნის დანახვა და პროცესის მართვა ამ მიზნის მისაღწევად.

ნამდვილი პედაგოგისთვის მიზანი შედეგი როდია, თუნდაც სარეკორდო იყოს. მთავარი მიზანია დამოუკიდებელი მუშაობის უნარის მქონე სპორტსმენის აღზრდა.

მე შემიძლია ზუსტად გითხრათ, რა ფიზიკური თვისებები უნდა ჰქონდეს კაცს, ვთქვათ, 240 სანტიმეტრის გადალახვისთვის. უნდა გამოიყვანო შესაბამისი ფორმულა, სპორტსმენის სიმაღლე, ხტომის უნარი და ა. შ. მაგრამ ჩვენ წმინდა ლაბორატორიულ ცდებს როდი ვატარებთ...“

დიაჩკოვი საწვრთნელ მეცადინეობაზე მეცნიერული ჰიპოთეზით მიდის, მას ამ ჰიპოთეზის შემოწმება აქვს განზრახული. ტარდება ცდა პრაქტიკისგან მოუწყვეტლად.

სპორტული გაკვეთილის სატელეგრაფო სიზუსტე მწვრთნელს ავალდებულებს მუდამ ფორმაში იყოს. იგი არ უნდა დაიბნეს, არც უნდა დაიღალოს. მოწაფეებისთვის დიაჩკოვი მუდამ ბრწყინვალე ფორმაშია, მუდამ მხნედ გრძნობს თავს. სსრ კავშირის სიმაღლეზე მხტომელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, 68 წლის დიაჩკოვი დღესაც აქტიური მებრძოლია. მემუარების დაწერა — ეს არის ერთადერთი საქმე, რომელიც მას სახვალიოდ აქვს გადადებული.

ა. ნილინი.



ეს სურათი გადაღებულია 1926 წელს, როცა ვ. დიაჩკოვი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მძლეოსნად ითვლებოდა და შეჯიბრებებში წარმატებებით მონაწილეობდა. სიმაღლეზე ხტომის თამასას სწორედ ვ. დიაჩკოვი ძლევს. სურათი რედაქციას მოაწოდა ვ. დიაჩკოვის ძმამ, წარსულში ცნობილმა სპორტსმენმა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების მწვრთნელმა ბ. დიაჩკოვმა.

---

33 საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მწვრთნელთა საბჭოს რეკომენდაციით 4 იანვარს დაამტკიცა განვლილი, 1970 წლის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია.

მეკარეები: ვ. ბანიკოვი („ტორპედო“, მოსკოვი), ლ. კუდასოვი (ასკ, დონის როსტოვი), ა. კავაზაშვილი („სპარტაკი“, მოსკოვი).

მარჯვენა მცველები: ი. ისტომინი (ცსკა), რ. ძოძუაშვილი („დინამო“, თბილისი), გ. ლოგოფეტი („სპარტაკი“, მოსკოვი).

მარჯვენა ცენტრალური მცველები: ა. შესტერნიოვი (ცსკა), ვ. ივანოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), ვ. ანიჩკინი („დინამო“, მოსკოვი).

მარცხენა ცენტრალური მცველები: ვ. კაპლიჩნი (ცსკა), ვ. სმირნოვი („დინამო“, მოსკოვი), მ. ხურცილავა („დინამო“, თბილისი).

მარცხენა მცველები: ვ. ზიკოვი („დინამო“, მოსკოვი), ე. ლოვჩევი („სპარტაკი“, მოსკოვი), ვ. აფონინი (ცსკა).

მარჯვენა ნახევარმცველები: ვ. მუნტიანი („დინამო“, კიევი), ნ. კისელიოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), ვ. მასლოვი („დინამო“, მოსკოვი).

ცენტრალური ნახევარმცველები: ვ. ფედოტოვი (ცსკა), ვ. კალინოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), კ. ასათიანი („დინამო“, თბილისი).

მარცხენა ნახევარმცველები: ვ. პაპაევი („სპარტაკი“, მოსკოვი), ვ. პოლიკარპოვი (ცსკა), ი. კულჩიცკი („კარპატი“, ლვოვი).

მარჯვენა გარემარბები: გ. ნოდია („დინამო“, თბილისი), ვ. ეშტრეკოვი („დინამო“, მოსკოვი), გ. შალიმოვი („ტორპედო“, მოსკოვი).

ცენტრალური თავდამსხმელები: ბ. კოპეიკინი (ცსკა), ვ. კოზლოვი („დინამო“, მოსკოვი), ა. ბიშოვეცი („დინამო“, კიევი).

მარცხენა გარემარბები: გ. ევრიუჟიხინი („დინამო“, მოსკოვი), ვ. დუდარენკო (ცსკა), ე. კოზინკევიჩი („შახტიორი“, დონეცკი).

* * *

სურათზე: გ. ნოდია.

საერთო გასაჭირი

„ბოდიში ხომ მოვიხადე!“

მამედ მამედოვი დაახლოებით ერთი წლის წინ დაინიშნა საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტად ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოში. დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს. საინტერესო შეჯიბრებებიც ჩაატარა ქართულ ჭიდაობაში, შაშში, ჭადრაკში, დადიოდა ბრიგადებში, ჩამოაყალიბა სპორტული სექციები და ხელმძღვანელობდა კიდეც მათ. „კოლმეურნის“ რაიონულ შეჯიბრებებში ფახრალოს ფეხბურთელებმა III ადგილი დაიკავეს, ქართული ჭიდაობის წარმომადგენლები კი IV ადგილზე გავიდნენ. და აი, მოულოდნელად მამედოვი და კიდევ სამი მეთოდისტი... შეამცირეს.

— მე პირადად ბოდიში მოვიხადე მათს წინაშე, — გვითხრა ბოლნისის რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. გელერმა — და ვთხოვე სამუშაოდ აღარ გამოსულიყვნენ.

ხედავთ, რა კარგია უფროსობა! კალმის ერთი მოსმით შეიძლება ქარს გაატანო კოლმეურნეობაში ასეთი შრომით წარმატების გზაზე დაყენებული საქმე. რაიონში 4 მეთოდისტი ჰყავდათ და ახლა აღარც ერთი აღარ დარჩათ. როგორ ჩაატარებენ შეჯიბრებებს, როგორ შეაყვარებენ კოლმეურნეებს ფიზკულტურას? ამ კითხვებზე პასუხს ჯერჯერობით არავინ იძლევა.

სხვათა შორის, თავდაპირველად ბ. გელერმა გვითხრა, ეს დროებითი ამბავია, საკითხს ორ თვეში ისევ მოვაწესრიგებთო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მეთოდისტები 5 აგვისტოს მოუხსნიათ და დღემდე მდგომარეობა არ გამოსწორებულა.

კარგი დასვენებაა, ღმერთმანი! იქნებ სჯობს ამხ. გელერმა კვლავ მოუხადოს ბოდიში მეთოდისტებს და ძველ თანამდებობას დაუბრუნოს ისინი? ასეთი ბოდიში ალბათ უფრო გულწრფელი იქნებოდა.

სჭირდებათ გაზები და მეთოდისტები

სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“ მარნეულში 3709 ფიზკულტურელს ითვლის. მათგან საუკეთესონი მარნეულში იყრიან თავს თავიანთი საზოგადოების პირველობებზე. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ ზაფხულობით. ზამთრობით სპორტსმენები „ისვენებენ“, რადგან შესაფერისი სპორტული დარბაზი არა აქვთ. განა არ შეიძლება, რაიონის რამდენიმე კოლმეურნეობამ საერთო თანხებით ერთი დარბაზი ააგოს? მეიჯარადრეების მოძებნა არ გაჭირდებოდა...

კაჩაგანის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია რაიონში. მაგრამ აქ არც კომპლექსური სპორტული მოედნებია, არც კარგი ფეხბურთის მინდორი. რაიონის მოჭიდავეთა ნაკრებში მარნეულის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობიდან 8 კაცი შედის. მაგრამ საკუთარი საჭიდაო დარბაზი არც ამ კოლექტივს აქვს. დროა კომპლექსური სპორტული მოედნები ჰქონდეთ ხრამისა და მუღანლოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებს.

სხვათა შორის, ამ კოლექტივებსაც სჭირდებათ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტები. მეთოდისტებს მოითხოვენ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა, წერეთლის მერძევეობა-მებოსტნეობისა და თამარისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები.

ვ. ბუკინი.

კარში დარტყმათა სტატისტიკა

ფეხბურთში მსოფლიოს IX ჩემპიონატის ფინალური გათამაშების დღეებში სპეციალისტთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტეთ საგანგებო დაკვირვება გვეწარმოებინა და შეგვედგინა სტატისტიკური მონაცემები კარში დარტყმათა თაობაზე.

1968-69 წლებში ასეთივე დაკვირვებები მოვახდინეთ სსრ კავშირის პირველობის, ევროპის ჩემპიონთა თასისა და საერთაშორისო შეხვედრათა მატჩებში. დაკვირვების მეთოდიკა ძველი დარჩა, ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ დაკვირვების მთელი ეს ციკლი ამჯერად წარმოებულ იქნა ტელევიზიის საშუალებით. სულ დაკვირვება ვაწარმოეთ 21 თამაშზე სსრ კავშირის, ბრაზილიის, ინგლისის, იტალიის, გფრ-ის და სხვა გუნდების მონაწილეობით.

მსოფლიო ჩემპიონატის ამ 21 მატჩში კარში დარტყმა შესრულდა 396-ჯერ. დარტყმათა ამ რაოდენობიდან ბურთი მიზანში (ე. ი. კარის ფართობში) მოხვდა 201-ხელ, რაც შეადგენს 50,7 პროცენტს. კარში დარტყმული ბურთების ამ საერთო რაოდენობიდან (396) გოლით დამთავრდა 39 დარტყმა, ანუ 9,8 პროცენტი. მაგრამ თუ ავიღებთ კარში მოხვედრილი დარტყმებისა და გატანილი ბურთების რაოდენობას, აქ პროცენტული შეფარდება უდრის 19,4-ს.

ახლა განვიხილოთ, თუ რომელმა გუნდმა როგორი ინტენსიობით აწარმოა ეს დარტყმები. ბრაზილიელებმა ჩვენს მიერ განხილულ 5 თამაშში კარში დარტყმა შეასრულეს 97-ჯერ. აქედან კარს მოხვდა 55 (56,6 პროცენტი), ხოლო მიზანს მიაღწია (ე. ი. გოლით დამთავრდა) 15 დარტყმამ, რაც დარტყმათა საერთო რაოდენობის 15,6, ხოლო კარში მოხვედრილი ბურთების 27,2 პროცენტია.

სსრ კავშირის ნაკრებმა 4 თამაშში 73-ჯერ დაარტყა კარში. მიზანს მოხვდა 33 დარტყმა (43,8 პროცენტი), ხოლო კარში გავიდა 6. პროცენტული შეფარდებით ეს უდრის დარტყმული ბურთების საერთო რაოდენობის 8,2 პროცენტს, ხოლო კარში გასული ბურთების 18 პროცენტს.

გფრ-ის გუნდმა 3 მატჩში კარში დარტყმა შეასრულა 63-ჯერ, მიზანს მოახვედრა 36 (57,3 პროცენტი) და გაიტანა 7 ბურთი, რაც საერთო დარტყმების რაოდენობის 12,7, ხოლო კარში მოხვედრილი ბურთების 19,4 პროცენტია.

ინგლისის ნაკრებმა 4 შეხვედრაში 54-ჯერ დაარტყა კარში. მიზანს მოხვდა 27 (54 პროცენტი), რომელთაგან გატანილ იქნა 4 ბურთი. ეს კარში დარტყმული ბურთების საერთო რაოდენობის 7,4, ხოლო კარში მოხვედრილი ბურთების 14,8 პროცენტია.

ურუგვაის გუნდმა 3 მატჩში კარში დაარტყა 60-ჯერ. მიზანს მოხვდა 26 დარტყმა (43,3 პროცენტი), ხოლო კარის აღებით დამთავრდა 2 დარტყმა. ეს დარტყმული ბურთები საერთო რაოდენობის 3,3, ხოლო კარში მოხვედრილი ბურთების 7,5 პროცენტია.

იტალიის გუნდმა 2 მატჩში კარში დაარტყა 49-ჯერ. მიზანს მოხვდა 24 (48,9 პროცენტი), ხოლო გოლით დამთავრდა 5, რაც საერთო დარტყმათა 10,2, ხოლო კარში მოხვედრილი ბურთების 20,8 პროცენტია.

დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ კარში დარტყმების უმრავლესობა — 191 (48,2 პროცენტი) წარმოებს 1-15 მეტრის მანძილიდან. შემდეგ მოდის დარტყმები 15-20 მეტრის მანძილიდან — 134 (33,8 პროცენტი). 20-25 მეტრის მანძილიდან შესრულდა 56 დარტყმა (14,1 პროცენტი) და, ბოლოს, ყველაზე მცირე რაოდენობით შესრულდა დარტყმები 25 მეტრზე მეტი მანძილიდან — 15 (3,7 პროცენტი).

დარტყმათა რაოდენობის უპროპორციულობა მანძილთან ახასიათებს ყველა გუნდს. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ინგლისელები, რომლებსაც თითქმის ერთნაირი რაოდენობით აქვთ შესრულებული დარტყმები 1-15 და 15-20 მეტრიდან.

1-15 მეტრიდან შესრულებულ დარტყმათა ასეთი სიჭარბე უნდა აიხსნას უმთავრესად დაცვითი ხაზების უკან დახევით, საჯარიმო მოედანზე თამაშით. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით უკეთესი იქნებოდა დაცვის ღონისძიებათა უფრო წინა პოზიციებზე გადატანა შეძლებისდაგვარად.

თუ გავაანალიზებთ კარში წარმოებულ დარტყმებს დროის მიხედვით, ყველაზე დიდი რაოდენობა— 226 (57 პროცენტი) მოდის მეორე ტაიმზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ტაიმის ყოველ მესამედში დარტყმათა რაოდენობა თითქმის ერთნაირია (76-80-70). ეს კანონზომიერება ძირითადად ყველა გუნდზე ვრცელდება და გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ურუგვაის ნაკრები, რომელსაც II ტაიმის მეორე მესამედში დარტყმათა რაოდენობა ორჯერ უფრო მეტი აქვს, ვიდრე ამავე ტაიმის პირველ 15 წუთში.

გატანილი ბურთების რაოდენობა, ისევე როგორც დარტყმებისა მეორე ტაიმში უფრო მეტია (31) ვიდრე პირველში (8). პირველ ტაიმში ბურთები გატანილია უმთავრესად პირველ და მეორე მესამედებში (3-4), ხოლო მეორე ტაიმში ბურთების მეტი ნაწილი გატანილია პირველ 15 წუთში (15), მომდევნო მესამედებში კი 8-8 ბურთი.

ამ დაკვირვებათა ციფრობრივი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ რაც უფრო მეტია დარტყმათა რაოდენობა, მით უფრო მეტი ბურთი გადის კარში, მაგრამ მარტო დარტყმათა რაოდენობა არ წყვეტს საკითხს. რაოდენობასთან ერთად, ბუნებრივია, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დარტყმათა სიზუსტეს.

IX მსოფლიო ჩემპიონატის ჩვენს მიერ ნანახ მატჩებში კარში დარტყმათა თითქმის 80 პროცენტი 1-15 მეტრის მანძილიდან წარმოებდა და ამასთან, კარს ხვდებოდა დარტყმათა 50 პროცენტი. ვფიქრობთ, კარში მოხვედრათა ეს პროცენტი საერთაშორისო კლასის გუნდებისთვის დამაკმაყოფილებლად არ უნდა ჩაითვალოს, ე. ი. ეს საკითხი განსაკუთრებული შესწავლის საგნად უნდა იქცეს მწვრთნელთათვის. ასეთივე მდგომარეობაა დარტყმათა სიზუსტისა და ძალის მხრივაც. კარში დარტყმული ბურთების დაახლოებით 19-20 პროცენტი მთავრდება გოლით, 80 პროცენტი კი მეკარის ხვედრია. ვფიქრობთ, ეს ციფრებიც დარტყმათა სისუსტესა და უზუსტობაზე მეტყველებს.

საკითხის ობიექტურად გაშუქების მიზნით ჩვენ დავიანგარიშეთ კარში დარტყმებისა და ბურთის გატანის საშუალო მონაცემები ერთი თამაშისთვის. გამოირკვა, რომ ბრაზილიელებს კარის აღების ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი აქვთ. მათ თითო თამაშში საშუალოდ 3 ბურთი გაჰქონდათ და 1 გოლის გატანას 6 დარტყმას ანდომებდნენ. დარტყმული ბურთების 56,6 პროცენტი კარს ხვდებოდა და 27,2 პროცენტი გოლით მთავრდებოდა. თუ ბრაზილიელებს შევადარებთ გფრ-ის ნაკრებს, რომელსაც ერთ თამაშში კარში დარტყმათა რაოდენობა უფრო მეტი აქვს (21), დავინახავთ, რომ გერმანელებს ყოველ თამაშში საშუალოდ გაჰქონდათ 2,3 ბურთი, ე. ი. 0,7-ით ნაკლები, ვიდრე ჩემპიონებს. ეს მოვლენა უნდა აიხსნას გერმანელთა გუნდის მიერ კარის აღების დაბალი პროცენტით (19,4), ე. ი. სუსტი, უზუსტო დარტყმებით (და, რასაკვირველია, სხვა ფაქტორებითაც, მათ შორის, ბრაზილიელთა მეკარის კარგი თამაშით ამ მატჩში).

ძირითადად ამავე მიზეზით უნდა აიხსნას იტალიის ნაკრების წარუმატებლობა ბრაზილიელებთან მატჩში. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელებს ერთ თამაშში კარში დარტყმათა ყველაზე დიდი რაოდენობა აქვთ და გატანილი ბურთებითაც (2,5 ერთ თამაშში) მხოლოდ ბრაზილიელებს ჩამორჩებიან, კარის აღების პროცენტი დაბალი გააჩნიათ. სწორედ ამიტომაა, რომ ისინი 1 ბურთის გატანას 10 დარტყმას ანდომებდნენ. ფინალურ მატჩში ბრაზილიის ნაკრებთან იტალიელებმა 22-ჯერ დაარტყეს კარში და მხოლოდ 1 გოლი გაიტანეს. ბრაზილიელებმა კი ამავე მატჩში 27-ჯერ დაარტყეს კარში და 4 გოლი გაიტანეს.

კარის აღების ყველაზე დაბალი პროცენტი აქვთ ურუგვაელებს. ისინი 1 ბურთის გატანას დაახლოებით 30 დარტყმას ანდომებდნენ. ურუგვაელებმა, მაგალითად, გფრ-ის ნაკრებთან შეხვედრაში 26-ჯერ დაარტყეს კარში და გოლი ვერც ერთხელ ვერ გაიტანეს, მაშინ როცა გერმანელებმა ამავე მატჩში 10 დარტყმა შეასრულეს და 1 გოლი გაიტანეს.

სსრ კავშირის ნაკრები ყოველ მატჩში დაახლოებით 18 დარტყმას აკეთებდა და საშუალოდ 1,5 გოლი გაჰქონდა.

თუ შევადარებთ საბჭოთა გუნდისა და ბრაზილიელთა მონაცემებს, შევამჩნევთ, რომ ჩვენი პროცენტული მაჩვენებლები საგრძნობლად ჩამორჩება ჩემპიონისას. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ბრაზილიის გუნდს ერთი ბურთის გასატანად სჭირდებოდა საშუალოდ 6 დარტყმა, ჩვენსას კი —12.

კარში დარტყმების რაოდენობისა და სიზუსტის გარდა ყურადღება უნდა მიექცეს მანძილსაც. IX ჩემპიონატში 1-15 მეტრამდე მანძილიდან დარტყმები შესრულებულ იქნა 191-ჯერ და გატანილ იქნა 31 გოლი, ანუ მთლიანად გატანილი ბურთების 79,5 პროცენტი. 15-20 მეტრის მანძილიდან გატანილ იქნა 7 ბურთი (17,9 პროცენტი), ხოლო 20-ზე მეტი მანძილიდან — 1 ბურთი (2,6 პროცენტი).

მოყვანილი ციფრები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შორი მანძილიდან დარტყმას საკმაო ყურადღება არ ექცევა. ამიტომ მწვრთნელებმა მათ შესწავლას და ათვისებას მეტი დრო უნდა დაუთმონ სწავლების პროცესში. მათ მხედველობაში უნდა მიიღონ ისიც, რომ მეორე ტაიმში მეტია კარში დარტყმებისა და გოლების გატანის რაოდენობა და მეტი ყურადღებით მოეპყრან ამ პერიოდს კარის უხიფათობის გარანტიისთვის.

ს. შუდრა,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

IX campeonato mundial de futbol
MEXICO 70

• • •

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი იტალიისა და შვეციის ნაკრებ გუნდებს შორის. იტალიელთა ერთ-ერთი შეტევის მომენტი შვედების კართან. „აკრობატულ ნახტომს" ასრულებს იტალიის ნაკრების თავდამსხმელი ლ. რივა.

ტაიმანოვი: „ფიშერის არ მეშინია"

ამერიკელი დიდოსტატის რ. ფიშერის შთამბეჭდავმა გამარჯვებამ პალმა დე მალიორკის საზონათაშორისო ტურნირში ქვეყანა აალაპარაკა. ბევრმა იგი მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკის მეტოქედ გამოაცხადა უკვე. მაგრამ ჭადრაკის მეფესთან შეხვედრამდე ფიშერმა უნდა მოუგოს საბჭოთა დიდოსტატ მ. ტაიმანოვს, მერე ბ. ლარსენ (დანია) — ვ. ულმანის (გდრ) მატჩში გამარჯვებულს. ბოლოს კი, ფინალურ მატჩში ტ. პეტროსიანს, ვ. კორჩნოის, ე. გელერს (სსრ კავშირი) ან რ. ჰიუბნერს (გფრ), ერთ-ერთს, რომელიც შეჯიბრებას შემორჩება. ეს ადვილი როდია.

მ. ბოტვინიკი ამბობს, რომ ფიშერს მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვებისთვის ყველაზე კარგი შანსი ახლა აქვს, როცა შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდშია. ალბათ ამიტომ, ამერიკელი დიდოსტატის გამარჯვება ტაიმანოვთან მატჩში უმრავლესობისთვის ეჭვმიუტანელია. მაგრამ თავად ტაიმანოვი და ზოგიერთი გამოჩენილი სპეციალისტი ასე როდი ფიქრობენ. მაგალითად, ბოტვინიკმა თქვა: „მარკ ევგენის ძის მდგომარეობა ამ მატჩში სრულიად უიმედო არა მგონია. მატჩისთვის თუ მოემზადა, ტაიმანოვს დიდი პრაქტიკული შანსები აქვს. მას ათ პარტიაში შეუძლია ფიშერის სისუსტეები გამოიყენოს. თუმცა პროგნოზების გაკეთება ძნელია".

მოვუსმინოთ თვით ტაიმანოვს: „ჩემთვის ყველაზე საინტერესო მეტოქეებად მიმაჩნია ჯერ ფიშერი, მერე ლარსენი. მე თავიდანვე მსურდა ფიშერთან შეხვედრა. ეს ძალიან საინტერესოა. თუ ბევრის მიღწევას ფიქრობ, ამ მატჩს გვერდს ვერ აუვლი.

ფიშერს გარკვეული ხარვეზები აქვს, პირველ ყოვლისა, მატჩის თამაშის გამოცდილება არა აქვს. მისი სატურნირო უპირატესობა მატჩში შეიძლება არც კი გამოჩნდეს. ამასთან, ამერიკელი მოჭადრაკე უაღრესად საინტერესო მეტოქეა და, ვფიქრობ, ხასიათიც შეეცვალა. სოცარი, მაგრამ სასიამოვნო იყო ჩემზე მისი კეთილი აზრის მოსმენა: „ტაიმანოვი შესანიშნავი კაცია". სოცარია იმიტომ, რომ სხვებზე მეტად მისი მოწინააღმდეგე მე ვიყავი. მასზე შეხედულება მგონი ზიგენიდან შემეცვალა. ფიშერი, რა თქმა უნდა, ბავშვური ხასიათის კაცია, მიამიტიც არის, მაგრამ, როგორც ყველა ნიჭიერ ადამიანს, მას ბევრი მიმზიდველი თვისება ახასიათებს. საერთოდ, მომზადება არ გამომდის ბოტვინიკისებურად. ბოტვინიკი ყოველი მატჩის წინ მეტოქეში ხარვეზებს ეძებდა, რათა საკუთარი თავისთვის მეტოქის მიმართ სიმპათიურად განწყობის საშუალება არ მიეცა. მე კი, საკვირველია, ფიშერში სულ ახალ და ახალ ღირსებებს ვპოულობ.

ამერიკელი მე გრანდიოზულ მოჭადრაკედ მიმაჩნია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის, რაც მას შეუძლია, რასაც იგი იმსახურებს და სინამდვილეში აჩვენებს, ერთმანეთს არ ეფარდება.

ახლა ფიშერი ალბათ ერთადერთი მოჭადრაკეა, რომელიც მუდამ თანაბრად, ერთნაირი სიძლიერით თამაშობს მთელ პარტიას. იგი წმინდა კლასიკურ სტილში იბრძვის, მაგრამ გაურკვეველი ტაქტიკური გართულებები არ უყვარს. ფიშერი კარგი მანქანასავით უშეცდომოდ მუშაობს. ამიტომ მეტოქეებს სწორედ მასთან განსაკუთრებით ხშირად მოსდით გულდასაწყვეტი შეცდომები, რაც მათთვისაც აუხსნელი რჩება. მე ასეთი შეგრძნება ჯერ არ მქონია. მახსოვს, ადრე ძალიან მიჭირდა თამაში სმისლოვთან, ხოლო, როცა ტალთან სათამაშოდ ვჯდებოდი, მისი, უბრალოდ, მეშინოდა.. მეშინოდა მისი ძალისა. ფიშერისა კი არ მეშინია.

საინტერესოა, რომ ფიშერი უარეს პოზიციებშიც არ ცვლის თამაშის მანერას. ასეთ მდგომარეობაში ტალი გართულებების ძებნას დაიწყებდა, შეეცდებოდა არევ-დარევას. ფიშერი არავითარ ძალდატანებით ზომებს არ ღებულობს, თამაშობს კვლავინდებურად მკაცრი ლოგიკით, სადად, ნათლად, მეტოქის შეტევის ნეიტრალიზაციის იმედით".

შეგახსენებთ, რომ ტაიმანოვმა ფიშერთან ორჯერ ითამაშა. პირველი შეხვედრა ბუენოს-აირესში მან ყაიმით დაამთავრა, მეორე კი პალმა დე მალიორკაში წააგო, თუმცა პარტიის გადადებამდე საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა.

ობიექტურად, მატჩში ფიშერმა უნდა გაიმარჯვოს. მაგრამ ტაიმანოვი დიდი ოპტიმისტია, რაც, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მას ბრძოლის კრიტიკულ მომენტებშიც. ეჭვი არ არის, რომ ფიშერ—ტაიმანოვის მატჩში ბევრი საინტერესო პარტია გათამაშდება.

როგორც შევიტყვეთ, ფიშერი უკვე შეუდგა მზადებას. ტაიმანოვი ჯერჯერობით საკონცერტო მოღვაწეობას უბრუნდება. იგი, როგორც პიანისტი, ფართოდაა ცნობილი. კონცერტებს ტაიმანოვი თავის მეუღლესთან— ლიუბოვ ბრუკთან ერთად (ორ როიალზე) მართავს.

ფიშერი თუ ტაიმანოვი? — ამ კითხვაზე თვით დიდოსტატები გასცემენ პასუხს გაზაფხულზე.

თ. გიორგაძე.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 9 უე 08403